

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

—თებერვალი 2018 წელი

ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჯუმბერ ბეთაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმ-პედიატრების, ნოდარ და პაატა ხერხეულიძეების სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:


ა) ჩუღურეთის რაიონში, ჯუმბერ ბეთაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ექიმ-პედიატრების, ნოდარ და პაატა ხერხეულიძეების სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



03/049

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ლია ჯახველაძეს

მოქ. *ივანე იონიძის*

მცხ. *ქართული მემკვიდრეობა*

ტელ. *577529595*

პ/ნ *01007003455*

მ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გვთხოვთ N 81.21.99.283 აქტით
სადაც მომდებარე ტერიტორიაზე
ახალი ტერიტორიაზე ბინის
შენიშვნის შესახებ (ახალი ფაქტი)
შეიქმნოს ტერიტორიაზე.

გაგზავნა ივანე იონიძის

01.06.2017

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის	
საკრებულოს აპარატი	
№	6506
" 02 "	ივნისი 2017
ფურცელი	4

03/073



საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული უნივერსიტეტი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
GEORGIA
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY



MES 3 17 00672308

16/06/2017

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს,
ქალბატონ ლია ჯახველაძეს**

ქალბატონო ლია,

მოგახსენებთ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 2017 წლის 27 ივლისს გეგმავს თსსუ-ის ბავშვთა სნეულებათა პროპედევტიკის კათედრის გამგის (1995 წლამდე), პროფესორ ნოდარ ხერხეულიძის დაბადებიდან 90 წლის იუბილის აღნიშვნას. პროფესორი ნოდარ ხერხეულიძე ამავდროულად იყო თბილისის პედიატრთა ასოციაციის თავმჯდომარე და მას სახელმძღვანელოსათვის „ბავშვთა დაავადებათა პროპედევტიკა“ მინიჭებული აქვს ილარიონ ქართველის სახელობის პრემია.

აქვე დამატებით გვინდა ავღნიშნოთ, რომ მიმდინარე წლის 01 აპრილს შესრულდა 20 წელი ბავშვთა სნეულებათა პროპედევტიკის კათედრის დოცენტის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის პაატა ხერხეულიძის გარდაცვალებიდან. ნოდარი და პაატა ხერხეულიძეები ქართული პედიატრიის თვასაჩინო და გამორჩეული მოღვაწეები იყვნენ, რომელთაც შექმნეს მთელი ეპოქა ქართულ პედიატრიაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი შუამდგომლობს თქვენ წინაშე, ნოდარ და პაატა ხერხეულიძეების სახელის უკვდავსაყოფად, ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს მათი სახელი.

წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისა და დახმარებისათვის.

აქვე წარმოგიდგენთ საკონტაქტო პირის მონაცემებს საკითხთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში. ნინო რუხაძე – რექტორის აპარატის უფროსი, ტელ: 595 78 77 00.

პატივისცემით,

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია
რექტორი





03/203

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქ-ნ ლ.ჯახველაძეს

გთხოვთ განიხილოთ

№06/10626

09.10.17წ

ქაჩიშვილი გიორგი ალიბეგაშვილი

09.10.17წ



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;

KA011739873308717

ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

411870

04 / ოქტომბერი / 2017 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი
ალიბეგაშვილს

მის: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი
N2

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 28 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N M17018081 განცხადებით მომართა მოქალაქე ნანა მანგოშვილმა (პ/ნ: 01033002010), რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა (საკადასტრო კოდით N81.21.01.616).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N81.21.01.616) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20² მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.


დანართი 1 გვერდი

პატივისცემით,

სამისამართო სამსახურის უფროსი

მ. მახათაძე

დიმიტრი მახათაძე





საჯარო
რეესტრის
ეროვნული სააგენტო


საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური ნახაზი
ქალაქი თბილისი
უსახელო ქუჩა



განცხადების ნომერი
მომზადების თარიღი

N M17018081
04.10.2017



მაგისტრალის საცდელ-საზღვარი



უსახელო ქუჩა

124 (თიბილისი) 14.09.2017



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
არქიტექტურის სამსახური



წერილის ნომერი: 60-01172552435

თარიღი: 12.09.2017

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავჯდომარეს ქ-ნ ჯანველაძეს

მისამართი: თავისუფლების N2 ტელ: +995(32)2 15 92 92

ადრესატი:

ქალბატონო ლია


ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 16.08.2017 წლის 08-3/1059
(18.08.2017 #14/01172301088-60) განცხადება, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, რომ
თქვენი მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული
ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური - მიწის ნაკვეთის
საზღვრების მომზადების განყოფილება -
განყოფილების უფროსი

Handwritten signature

რუსუდან გეგაძე

19.09.2017



W08-3/1059

14.09.2017